

**უფლებამოსილებათა გადანაწილება
პრეზიდენტსა და მთავრობას/პრემიერ-მინისტრს შორის
კონსტიტუციის ძველი და ახალი რედაქციით
(2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით)**

შალვა პაპუაშვილი
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)
სამართლის პროგრამა

პრეზიდენტი (ძველი რედაქცია)	პრეზიდენტი (ახალი რედაქცია)	მუხ.	მთავრობა / პრემიერ-მინისტრი (ახალი რედაქცია)	მთავრობა / პრემიერ-მინისტრი (ძველი რედაქცია)
სტატუსი				
სახელმწიფოს მეთაური	სახელმწიფოს მეთაური	69.1		
უმაღლესი მთავარსარდალი	უმაღლესი მთავარსარდალი	73.4 69.2		
უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად	ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას	69.2 69.1		
წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას	გაუქმდა	69.2 78.1	აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას	უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას
ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს	ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.	73.6 73.5		
უფლება აქვს ეკავოს პარტიული თანამდებობა	უფლება არ აქვს ეკავოს პარტიული თანამდებობა	72		
		78.1	ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე	პასუხისმგებელია პრეზიდენტისა და

				პარლამენტის წინაშე
		80.1	ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება	პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პრეზიდენტის წინაშე
საგარეო ურთიერთობები				
უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში	წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში	69.3 78.4	პრემიერ-მინისტრი და მინისტრები საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენენ საქართველოს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს უფლება აქვთ, შეასრულონ საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება უფლებამოსილების წარდგენის გარეშე. (მუხ. 11 ¹ კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	მთავრობა პრეზიდენტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. (მუხ. 5 ს კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)
დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან	მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს	73.1 ა, 73 ¹ .1	მთავრობა: თანხმობა მთავრობის განკარგულების მიღებით (მუხ. 7 ⁴ კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	
იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას	მთავრობასთან შეთანხმებით იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას	73.1 ა		
ნორმატიული უფლებამოსილება				
დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან	შენარჩუნდა	73.1 ა ¹ , 73 ¹ .1	ჰმ: კონტრასიგნაცია	
კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის	გაუქმდა	102.1 ა		

კანონპროექტის ინიცირების უფლება				
საკანონმდებლო ინიციატივის უფლება	გაუქმდა	67.1	შენარჩუნდა	მთავრობა: საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.
ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს	შენარჩუნდა	73.1 მ		
პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე	გაუქმდა	67.2	შენარჩუნდა	მთავრობა: მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე
საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობას გამოხატავს პარლამენტი, პარლამენტს რატიფიცირებისათვის (ან მასთან შეერთებისათვის) წარუდგენს მხოლოდ პრეზიდენტი. (მუხ. 15.1 კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ)	პარლამენტს რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმებისთვის წარუდგენს მის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს (შეთანხმებებს), ასევე მუხ. 65.2 გათვალისწინებულ ხელშეკრულებებს (შეთანხმებებს)	65.1 ¹ 65.2	ქმ: კონტრასიგნაცია მთავრობა: მიმართავს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ	
გამოსცემს დეკრეტს, ბრძანებულებას, განკარგულებას, აგრეთვე, როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, – ბრძანებას	შენარჩუნდა	73.1 ლ	ქმ: კონტრასიგნაცია (გარდა ბრძანებისა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით)	
საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს	შენარჩუნდა	73.1 ი	ქმ: კონტრასიგნაცია საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცემულ დეკრეტებზე	
პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი არ დაამტკიცებს მას	გაუქმდა	73.1 რ, 93.3		
ამლევს თანხმობას მთავრობას პარლამენტისთვის მთავრობის	გაუქმდა	78.5 78.7	მთავრობა: პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს მთავრობის	მთავრობა: საჭიროებს პრეზიდენტის თანხმობას

სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განისაზღვრის შესახებ კანონპროექტის წარდგენაზე			სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განისაზღვრის შესახებ	პარლამენტისთვის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განისაზღვრის შესახებ კანონპროექტის წარდგენისთვის
თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე	გაუქმდა	73.1-ე 93.1	მთავრობა: პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს	მთავრობა: პრეზიდენტის თანხმობით პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს
		93.3	შენარჩუნდა	მთავრობა: მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა
		93.5	შენარჩუნდა	მთავრობა: კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ
უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები	გაუქმდა	73.3	პმ/მთავრობა: უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრებისა და სპეციალური დაწესებულებების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულების) ხელმძღვანელთა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით (მუხ. 31 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	
		78.3 78.5	მთავრობა: კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების	მთავრობა: კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის

			საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი	ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი
პარლამენტის მიმართვის საფუძველზე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების უფლება, მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის შემთხვევაში	გაუქმდა	93.5		
უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით	უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში.	78.6		
ამტკიცებს სამხედრო ძალების სტრუქტურას და საჯარისო წესდებებს, პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სამხედრო დოქტრინისა და სამხედრო ძალების აღმშენებლობის კონცეფციის პროექტებს (მუხ. 5 კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ; მუხ. 7.5 ე კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	ამოღებულია კანონიდან მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, თუმცა დარჩა საქართველოს თავდაცვის შესახებ კანონში		მთავრობა: ამტკიცებს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულებას; ამტკიცებს საჯარისო წესდებებს; პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტს; პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამხედრო დოქტრინისა და სამხედრო ძალების აღმშენებლობის კონცეფციის პროექტებს (მუხ. 5 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ). თავდაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად ეს საკითხი პრეზიდენტის კომპეტენციაშია.	
ამტკიცებს სამხედრო ძალების აღმშენებლობის, გამოყენებისა და მობილიზაციის გეგმებს, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო გეგმებს (მუხ. 5	ამოღებულია კანონიდან მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, თუმცა დარჩა საქართველოს თავდაცვის შესახებ კანონში		მთავრობა: ამტკიცებს სამხედრო ძალების აღმშენებლობის, გამოყენებისა და მობილიზაციის გეგმებს, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო გეგმებს (მუხ. 5	

კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ; მუხ. 7.5 ვ კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)			კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ). თავდაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად ეს საკითხი პრეზიდენტის კომპეტენციაშია.	
ამტკიცებს ქვეყნის ტერიტორიის სამხედრო-ოპერატიულ და სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს (მუხ. 5 კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ; მუხ. 7.5 ზ კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	ამოღებულია კანონიდან მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, თუმცა დარჩა საქართველოს თავდაცვის შესახებ კანონში		მთავრობა: ამტკიცებს ქვეყნის ტერიტორიის სამხედრო-ოპერატიულ გეგმებსა და სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს (მუხ. 5 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ). თავდაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად ეს საკითხი პრეზიდენტის კომპეტენციაშია.	
საკადრო უფლებამოსილება				
არჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, პარლამენტს წარუდგენს მთავრობას ნდობის მისაღებად და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს: • პარლამენტის არჩევნების შემდეგ – თავად არჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას • მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ – თავად არჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას	პარლამენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს: • პარლამენტის არჩევნების შემდეგ – საუკეთესო შედეგების მქონე საარჩევნო სუბიექტის კანდიდატი • მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ – საპარლამენტო უმრავლესობის კანდიდატი	73.1 გ, 80, 80 ¹		
თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის დანიშვნაზე	გაუქმდა	79.5	ჰმ: მთავრობის წევრების დანიშვნა/გათავისუფლება	ჰმ: პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს. უფლებამოსილია, გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.
უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები	გაუქმდა	73.1 გ		
			პრემიერ-მინისტრი გადადგომის	პრემიერ-მინისტრის

			შემთხვევაში, ის გადამდგარად ითვლება ამის თაობაზე საჯაროდ განცხადების ან პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის მომენტიდან (მუხ. 9.2 ა კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	გადადგომის შემთხვევებში, მას თანამდებობიდან ათავისუფლებს პრეზიდენტი (მუხ. 9.2 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)
		79.7	შენარჩუნდა	პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას
იღებს მთავრობის და მთავრობის წევრის გადადგომას; აკისრებს მოვალეობათა შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე	მთავრობას აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე	73.1 დ		
ნდობის მისაღებად პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის 1/3, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში	შენარჩუნდა	81 ¹	შენარჩუნდა	მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის 1/3, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში, პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას
		81.3 81.4	მთავრობის გადაყენების შესაძლებლობა I. <u>უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი</u> • ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევა 1/2 + 1 ხმის უმრავლესობით (პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს ახალი პრემიერ-მინისტრი ან უარი თქვას მის დანიშვნაზე) • ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევა	მთავრობის გადაყენების შესაძლებლობა I. <u>უნდობლობის გამოცხადება</u> 1/2 + 1 ხმის უმრავლესობით (პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს) II. <u>უპირობო უნდობლობის გამოცხადება</u> 3/5 უმრავლესობით

			3/5 უმრავლესობით (პრეზიდენტი ვალდებულია დანიშნოს ახალი პრემიერ-მინისტრი)	(პრეზიდენტი ვალდებულია გადააყენოს მთავრობა) III. ნდობის ვოტუმის ვერ მიღება 1/2 + 1 ხმის უმრავლესობით (პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს)
კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს, ათავისუფლებს და გადააყენებს თანამდებობის პირებს	შენარჩუნდა	73.1 ე		
იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს მთავარ პროკურორს (მუხ. 9.1 კანონი პროკურატურის შესახებ)	გაუქმდა		ჰმ: იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს მთავარ პროკურორს (მუხ. 9.1 კანონი პროკურატურის შესახებ)	
თანხმობს აძლებს პრემიერ-მინისტრს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელების დანიშვნაზე. თანამდებობიდან ათავისუფლებს საკუთარი ინიციატივით (მუხ. 25.7 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	გაუქმდა		ჰმ: მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს (მუხ. 25.6 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	ჰმ: პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს. მინისტრის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს მათ (მუხ. 25.7 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)
ფინანსთა მინისტრის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებული წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს/ ათავისუფლებს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის უფროსს (მუხ. 25.7 ² კანონი მთავრობის სტრუქტურის,	გაუქმდა		ჰმ: მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს (მუხ. 25.6 კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის	ჰმ: თანხმობას აძლევს ფინანსთა მინისტრს პრეზიდენტისადმი ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის უფროსის დანიშვნის/გათავისუფლების წარდგინებით მიმართვაზე

უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)			წესის შესახებ)	(მუხ. 25.7 ^ა კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)
პარლამენტის თანხმობით ნიშნავს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს. მინისტრის წარდგინებით ათავისუფლებს მათ.	მთავრობის წარდგინებით ნიშნავს/ათავისუფლებს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს	73.1 ა	მთავრობა: წარუდგენს პრეზიდენტს დასანიშნად/გასათავისუფლებლად ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების კანდიდატურებს	
ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს	შენარჩუნდა	73.3, 73 ¹ .4 გ		
			პმ: ნიშნავს/ათავისუფლებს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს (მუხ. 29 ^ა კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ; მუხ. 5 მთავრობის დადგენილება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ)	
თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს	მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს	73.3	მთავრობა: თანხმობა მთავრობის განკარგულების მიღებით (მუხ. 7 ^ა კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	
ნიშნავს/ათავისუფლებს გუბერნატორს	გაუქმდა	81 ³ .3	მთავრობა: გუბერნატორების დანიშვნა/გათავისუფლება	
	ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს	73.1 ე		
მონაწილეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებისა და თავმჯდომარის თანამდებობაზე განწესებაში	შენარჩუნდა	73.1 ე		
პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურებს	მთავრობასთან შეთანხმებით პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურებს	73.1 ე	მთავრობა: თანხმობა მთავრობის განკარგულების მიღებით (მუხ. 7 ^ა კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	

აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას	აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ, მთავრობის წინასწარი თანხმობით, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას	73.1 ვ	მთავრობა: თანხმობა მთავრობის განკარგულების მიღებით (მუხ. 7 ^ა კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ)	
ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს	შენარჩუნდა	88.2		
პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების კანდიდატურებს	შენარჩუნდა	90.2		
პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატურებს. საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს	შენარჩუნდა	96.1, 96.2		
კრიზისული სიტუაციები				
დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით გათავალისწინებულ შემთხვევებში: <ul style="list-style-type: none"> ახლადარჩეული პარლამენტის უუნარობა დააკომპლექტოს მთავრობა (პრეზიდენტი ვალდებულია დაითხოვოს პარლამენტი) მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება (პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს) მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებული მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების პროცედურის ფარგლებში (პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან 	დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით გათავალისწინებულ შემთხვევებში: <ul style="list-style-type: none"> ახლადარჩეული პარლამენტის უუნარობა დააკომპლექტოს მთავრობა (პრეზიდენტი ვალდებულია დაითხოვოს პარლამენტი) პარლამენტის უუნარობა მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში დააკომპლექტოს ახალი მთავრობა (პრეზიდენტი ვალდებულია დაითხოვოს პარლამენტი) პარლამენტის მიერ უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის და პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურის წარდგენის შემდეგ მთავრობის ახალი შემადგენლობის დაქომპლექტების უუნარობა 	73.1 ყ 80.7 80 ¹ .2 81.6		

<p>დაითხოვს პარლამენტს)</p> <ul style="list-style-type: none"> პარლამენტის მიერ ბიუჯეტის პროექტის წარდგენიდან 3 თვის ვადაში ბიუჯეტის არმილების შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობას <u>ქნ</u> დაითხოვოს პარლამენტს 	<p>(პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი)</p> <ul style="list-style-type: none"> თუ პარლამენტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას, ეს ჩაითვლება უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრად. თუკი პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურის წარდგენის შემდეგ პარლამენტი ვერ დააკომპლექტებს მთავრობას პრეზიდენტი <u>ვალდებულია</u> დაითხოვოს პარლამენტი 	93.4 ¹		
<p>პარლამენტის დათხოვნის აკრძალვის პერიოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> 6 თვე პარლამენტის არჩევნებიდან 6 თვე პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მსვლელობისას 	<p>პარლამენტის დათხოვნის აკრძალვის პერიოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> 6 თვე პარლამენტის არჩევნებიდან, თუ დათხოვნა არ ხდება მუხ. 80 საფუძველზე 6 თვე პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე, თუ დათხოვნა არ ხდება მუხ. 80 საფუძველზე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მსვლელობისას 	51 ¹		
<p>პარლამენტის თანხმობით თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნა ან საქამიანობის შეჩერება, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას</p>	<p><u>მთავრობის წარდგინებით</u> და პარლამენტის თანხმობით თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნა ან საქამიანობის შეჩერება, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას</p>	73.1 კ		

საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება/გაუქმება (48 საათში გადაწყვეტილების დასამტკიცებლად წარდგენა პარლამენტისთვის)	შენარჩუნდა	73.1 ზ, თ	ჰმ: კონტრასიგნაცია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში	
სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება (48 საათში გადაწყვეტილების დასამტკიცებლად წარდგენა პარლამენტისთვის)	შენარჩუნდა	100.1		
ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების გადაწყვეტილების მიღება (ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ)	შენარჩუნდა	100.2		
საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ზოგიერთი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის უფლება (48 საათში გადაწყვეტილების დასამტკიცებლად წარდგენა პარლამენტისთვის)	შენარჩუნდა	46.1, 73 ¹ .1	ჰმ: კონტრასიგნაცია საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში	
არჩევნები / რეფერენდუმი / სხვა				
არჩევნების დანიშვნა	შენარჩუნდა	73.2, 73 ¹ .4 ა	ჰმ: კონტრასიგნაცია (გარდა საპარლამენტო არჩევნებისა)	
რეფერენდუმის ინიცირება და დანიშვნა	რეფერენდუმის დანიშვნა	74.1	მთავრობა: რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება	
		94.4	მთავრობა: საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.	

			რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას.	
პარლამენტის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით პარლამენტის რიგარეშე სესიისა და რიგარეშე სხდომის მოწვევა	პარლამენტის მოთხოვნით ან მთავრობის წარდგინებით პარლამენტის რიგარეშე სესიისა და რიგარეშე სხდომის მოწვევა	61.2	მთავრობა: პრეზიდენტისთვის პარლამენტის რიგარეშე სესიისა და რიგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნის წარდგენის უფლება	
მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება	შენარჩუნდა	73.1 პ		
წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს	შენარჩუნდა	73.1 ნ, 73 ¹ .1	პმ: კონტრასიგნაცია თავშესაფრის მიცემის საკითხებზე	
ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს	შენარჩუნდა	73.1 ო, 73 ¹ .1	პმ: კონტრასიგნაცია უმაღლეს სამხედრო, საპატიო წოდებებზე და უმაღლეს დიპლომატიურ რანგებზე	